

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №705

ქ. ბათუმი, 10 აგვისტო 2016 წ

**ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვმ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 517,70 კვმ. შენობა-ნაგებობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.06.034) განხორციელდა 517,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (სასაწყობო ანგარი, რკინა ბეტონის საძირკვლით) მონტაჟი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.06.034) განთავსებული 517,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (სასაწყობო ანგარი).

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შენობაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს რუსუდან ჟოჟაძეს (პ/№61006029331).

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი